ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N22
07 ოქტომბერი 2024 წელი

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ივლისის №10 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 07/07/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.016403).

1. **დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

,,15. ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით'' და ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ , პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსითა და ნარჩენების მართვის კოდექსით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს კომპეტენციას

2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-14^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„14^1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209^3 მუხლის პირველი ნაწილით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით'', საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსითა და ნარჩენების მართვის კოდექსით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**